დამკვეთი: იბა „ამირანი 2007“ (595 420504)

საფუძველი: განცხადება 12/1400912-16 09.01.14წ.

მისამართი: ქ. თბილისი, ერისთავი ქუჩა №3 (ნაკვეთი №37/022)

საკ. კოდი: № 01.12.08.037.022

პროექტის შეტანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება
08.01.2014წ. №1068900 AR1172036

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი **მეოთხე კლასი**

რბიექტის ადგილზე შემოწმებით (05.02.2014წ) დადგინდა:

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის დასრულებული. არ არის მოწყობილი ღობე, სათამაშო მოედანი, ლამპიონები და ბეტონის ბორდიური. ტერიტორიაზე განთავსებულია სამშენებლო ამწე. ფასადები არ არის შეღებილი. ნაწილობრივ შეუვსებელია და შეულესავი. მოაჯირები ნაწილობრივ არ არის მოწყობილი. არ არის დასრულებული საჩრდილობლების მოწყობა. ღიობები და ფანჯრის მინები ნაწილობრივ შეუვსებელია. სადარბაზოები ნაწილობრივ მოუპირკეთებელია, არ არის მოწყობილი მოაჯირები და კარები.

ფასადებზე რიგელები არ არის ასახული. დამატებულია წყლის მილები. „1-1” ღერძის გარეთ კიბის საფეხურები და პანდუსის მოწყობა არ არის დასრულებული. „გ-ბ” მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს კიბის ფორმა. „7-6” და „4-3” მონაკვეთებში ფაჯრის ღიობებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +12.90 ნიშნულიდან +26.10 ნიშნულის ჩათვლით „დ-ბ” და „ბ-დ” მონაკვეთებში შეცვლილია კედლის ფორმა. შეცვლილია ლითონის ცხაურის ნახატი. მონოლითური კედლები არ არის ასახული პროექტში.

-3.10 ნიშნულზე „1-1” ღერზე არ არის კარი მოწყობილი. „ი-ი” ღერძზე „10-11” მონაკვეთში დამატებულია კოლონა. „8-9” მონაკვეთში კიბის საფეხურების რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს.

±0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების ფორმა და რაოდენობა. „7-8” მონაკვეთში შეცვლილია კარე კიბის საფეხურების რაოდენობა და ფორმა. „1-2” მონაკვეთში შეცვლილია შიდა კიბის ღიობის გაბარიტი. „თ-ი” მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. „ბ-ა” მონაკვეთში დამატებულია ფანჯარა.

+3.15 ნიშნულზე „დ-ზ” მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების გაბარიტი.

+6.30 ნიშნულზე „1-6” მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე.

+19.50 ნიშნულიდან +29.40 ნიშნულის ჩათვლით „8-11” მონაკვეთში შეცვლილია კედლის და აივნის გაბარიტი და ფორმა. „8-8” და „11-11” ღერძებზე „ბ-გ” მონაკვეთში დამატებულია კოლონები.

+29.40 ნიშნულზე „გ-ე” მონაკვეთში კედელს მონაცვლებული ააქვს ადგილი და გაზრდილია აივნის გაბარიტი.

შეცვლილია სახურავის ფორმა. სახურავზე შეცვლილია გამწოვების გორმა გაბარიტი და რაოდენობა. „ე-გ” მონაკვეთში დამატებულია საჩრდილობელი.

შეამოწმა: **კ. გიორგობიანმა**